

თავი IV

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

სახელმწიფო ბიუჯეტის 2014 წლის 6 თვის შესრულების მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა (-176 443.1) ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 35 887.1 ათასი ლარის ოდენობით.
2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 79 996.0 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	2014 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმა	2014 წლის 6 თვის ფაქტიური შესრულება
	104,734.5	79,996.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	11,954.3*
სესხები	62,065.8	29,648.3
აქციები და სხვა კაპიტალი	42,668.7	38,393.4

*ვალუტა და დეპოზიტებში 11 954.3 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ნაშთის დაგროვებას. გამომდინარე იქიდან, რომ 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 287 146.2 ათასი ლარი, თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა 2014 წლის 1 ივლისისათვის განისაზღვრა 299 100.5 ათასი ლარით.

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 44 108.9 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	2014 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმა	2014 წლის 6 თვის ფაქტიური შესრულება
	313,413.2	44,108.9
ვალუტა და დეპოზიტები	274,913.2	11,928.6**
სესხები	38,500.0	32,178.6
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	1.7

**ვალუტა და დეპოზიტებში ასახული 11 928.6 ათასი ლარი წარმოადგენს წინა წლების გამოუყენებელი სახსრების დაბრუნებას და ხაზინის ანგარიშებზე აღრიცხულ სხვა თანხებს.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 212 330.2 ათასი ლარის ოდენობით.

2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 493 621.4 ათასი ლარი, მათ შორის:

- 346 696.3 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობები;
- 146 925.0 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;
- 0.1 ათასი ლარი - ხაზინის ერთიან ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხა (აღნიშნული თანხა დონორი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში დაკორექტირდება და აისახება შესაბამის ანგარიშზე);

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	2014 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმა	2014 წლის 6 თვის ფაქტიური შესრულება
	641,276.0	493,621.4
საშინაო	365,000.0	346,696.3
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	365,000.0	346,696.3
საგარეო	276,276.0	146,925.1
სესხები	276,276.0	146,925.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.1

ათას ლარებში

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	146,925.0
IFAD	3,216.4
WB	40,693.5
EBRD	14,558.9
ADB	53,187.9
EIB	5,983.5
იაპონია	28,429.2
გერმანია	855.6
სულ კრედიტები	146,925.0

2014 წლის პირველის ნახევრის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 20 აუქციონი, რომლებზეც რეალიზებული იყო სახაზინო ვალდებულება და სახაზინო ობლიგაცია 548 484.0 ათასი ლარის ნომინალური ღირებულებით, საიდანაც 49.1% იყო 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო

ვალდებულებები, 32.3% იყო 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 14.9% იყო 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 3.7% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით ბიუჯეტში მიღებულმა თანხამ შეადგინა 533 648.3 ათასი ლარი, დისკონტის თანხამ 15 491.8 ათასი ლარი, ხოლო ნომინალს ზევით გადახდილმა თანხამ 656.1 ათასი ლარი. ამავე პერიოდში დაფარულ იქნა 190 000.0 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და ობლიგაციები, მათ შორის ძირითადი თანხის დაფარვამ შეადგინა 186 295.9 ათასი ლარი, ხოლო დისკონტის თანხამ 3 704.1 ათასი ლარი. 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საშინაო ვალდებულების წმინდა ზრდამ ძირითადი თანხის მიხედვით შეადგინა 346 696.3 ათასი ლარი. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმისათვის 2014 წლის 6 თვეში დაგეგმილი 50 000.0 ათასი ლარის ემისიის ნაცვლად, საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით გამოცხადდა 100 000.0 ათასი ლარის ემისია, საიდანაც რეალიზებულ იქნა 87 829.1 ათასი ლარის ოდენობით სახაზინო ობლიგაცია.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №176 განკარგულებით განისაზღვრა ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის, დაფარვის და მიღებული ფულადი სახსრების განთავსების წესი. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმისათვის 2014 წელს დაგეგმილი 200 მლნ ლარის ემისიიდან საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა 50 მლნ ლარის 2 წლის ვადის მქონე (12.02.2014) და 50 მლნ ლარის 5 წლის ვადის მქონე (05.03.2014) სახაზინო ობლიგაციების ემისია, ხოლო განთავსდა შესაბამისად 43 917.0 - 43 917.0 ათასი ლარის ოდენობით. ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის შედეგად ბიუჯეტში შემოსული 533.6 მლნ ლარიდან ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მიზნით დამატებითი ემისიის შედეგად მიღებულმა თანხამ შეადგინა 87.8 მლნ ლარი. ეს თანხა სრულად განთავსდა ვადიანი დეპოზიტის სახით, სახაზინო ობლიგაციების მყიდველ თორმეტ კომერციულ ბანკში, კომერციული ბანკების მიერ ნაყიდი ფასიანი ქაღალდების ვადიანობის შესაბამისად, კუპონის განაკვეთს დამატებული 1 საპროცენტო პუნქტი.

ინფორმაცია 2014 წლის 6 თვეში გამოშვებული და დაფარული სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები

ათას ლარებში

თვე	ფასიანი ქაღალდების ემისია		ფასიანი ქაღალდების დაფარვა (ნომინალით)	ვალდებულებების წმინდა ზრდა (ნომინალით)	ვალდებულებების წმინდა ზრდა (ძირითადი თანხით)
	ემისიის მოცულობა	ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფისათვის			
იანვარი	124,500.0		85,000.0	39,500.0	36,325.6
თებერვალი	106,567.0	43,917.0	0.0	106,567.0	104,773.9
მარტი	107,417.0	43,917.0	20,000.0	87,417.0	86,691.3
აპრილი	95,000.0		60,000.0	35,000.0	31,192.3
მაისი	60,000.0		25,000.0	35,000.0	34,426.1
ივნისი	55,000.0		0.0	55,000.0	53,287.1
სულ	548,484.0	87,834.0	190,000.0	358,484.0	346,696.3

3. ვალდებულებების კლება 281 292.2 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა.

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	2014 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმა	2014 წლის 6 თვის ფაქტიური შესრულება
	290,731.9	281,291.2
საშინაო	37,345.6	31,683.3
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	16,000.0	16,000.0
სესხები	3,123.6	903.2
სხვა კრედიტორული დავალიანებები	18,222.0	14,780.1
საგარეო	253,386.3	249,607.9
სესხები	250,386.3	247,916.9
სხვა კრედიტორული დავალიანებები	3,000.0	1,690.9

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალმა შეადგინა 9 580.6 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ სახელმწიფო საშინაო ვალის მთლიანი მოცულობა შეადგენს 2 359.7 მლნ ლარს, მათ შორის: ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სეზ-ისთვის“) – 440.8 მლნ ლარი, სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) - 151.0 მლნ ლარი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 339.2 მლნ ლარი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 756.3 მლნ ლარი, სხვა სავალო ვალდებულებები (ისტორიული ვალი) - 672.3 მლნ ლარი;
- ✓ სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 7 220.9 მლნ ლარი.

ათას ლარებში

კრედიტორი	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის მოცულობა 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
სულ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი	7,220,856.0
მთავრობის საგარეო ვალი	7,106,779.3
მრავალმხრივი კრედიტორები	4,817,500.5
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)	2,394,613.8
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	710,005.9

კრედიტორი	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის მოცულობა 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	48,430.6
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	255,399.3
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	192,105.0
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	871,651.8
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	345,294.0
ორმხრივი კრედიტორები	1,399,557.6
ავსტრია	26,320.5
აზერბაიჯანი	21,046.2
თურქმენეთი	373.4
თურქეთი	40,253.9
ირანი	16,401.2
რუსეთი	172,045.5
სომხეთი	24,754.8
უზბეკეთი	498.0
უკრაინა	454.8
ყაზახეთი	49,135.0
ჩინეთი	6,828.7
გერმანია	593,328.7
იაპონია	229,757.0
კუვეიტი	35,867.3
ნიდერლანდები	3,299.2
ამერიკა	53,958.6
საფრანგეთი	125,234.6
ფასიანი ქაღალდები	884,550.0
ევროობლიგაცია	884,550.0
გარანტირებული კრედიტები	5,171.2
გერმანია	5,171.2
საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი	114,076.8
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	114,076.8